ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ

თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

ქ.თბილისი, ჟ.შარტავს ქ.#7

მოქალაქეების: თენგიზ ესიავა

პნ 02001003670

მისამართი: გორგასლის შესახვევი კორპ. #36, ბ. #26

ტელ: 579 985 995

განცხადება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 17 მარტის #4903128 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 21 იანვრის #4830364 ბრძანებით, ქ. თბილისში, გორგასლის შესახვევი №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.18.09.001.008) შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 17 მარტის #4903128 ბრძანებით გაცემულია მშენებლობის ნებართვა ქ. თბილისში, გორგასლის შესახვევი №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.18.09.001.008), რომელი ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტით განისაზღვრა პირობა (ვალდებულება), რომ სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის16/01/2020 წლის N MIA 5 20 00115227 წერილის შესაბამისად, დამკვეთის მიერ უზრუნველყოფილ იქნას ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობა და მათი დაპროექტების დოკუმენტაციის სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში სამი თვის ვადაში წარდგენა.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია არათუ სამი თვის ვადაში, არამედ ნებართვის გაცემიდან თითქმის 23 თვის შემდგომაც კი არაა წარდგენილი სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში, რაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 17 მარტის

#4903128 ბრძანების როგორც ბათილობის, ასევე მისი ძალადაკარგულად გამოცხადების უპირობო საფუძველია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წესით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, ძალადაკარგულად გამოაცხადოთ ძალაში შესვლის დღიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 17 მარტის #4903128 ბრძანება.

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 0 22 00278644

02/02/2022

მოქალაქე **თენგიზ ესიავას**
Tengizesiava@gmail.com
მობ: 579 985 995

ბატონო თენგიზ,

თქვენი 2022 წლის 1 თებერვლის (სამსახურში რეგისტრაციის თარიღი 1.02.2022; N260397) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, გორგასლის შესახვევი N5-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.18.09.001.008) ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების პროექტები ამ დრომდე არ არის წარმოდგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განსახილველად.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ